ოლიმპიადაზე დასარეგისტრირებლად ეწვიეთ: https://kings.ge/register

**ძვირფასო მასწავლებელო,**

ეს კინგსის გასული სეზონის **საოლიმპიადო ამოცანებია,** რომლებიც შეგიძლიათ, გამოიყენოთ როგორც საკლასო აქტივობებისას, **ასევე გაუგზავნოთ თქვენს მოსწავლეებს.**

კინგსის ოლიმპიადის გაზაფხულის სეზონზე **რეგისტრაცია უკვე დაიწყო.** მოსწავლე **დასარეგისტრირებლად უნდა ეწვიოს ბმულს: www.kings.ge**

**რომელ საგნებში ტარდება ოლიმპიადა?**

კინგსის ოლიმპიადა წელს 6 საგანში ტარდება: მათემატიკა, ინგლისური, ქართული, ბუნება, ისტორია და ინტელექტი.

**რომელი კლასის მოსწავლეებს შეუძლიათ მონაწლეობის მიღება?**

კინგსის მათემატიკის, ქართულისა და ინგლისურის ოლიმპიადაზე 2-დან მე 12 კლასის მოსწავლეებს შეუძლიათ მონაწილეობის მიღება. ბუნების ოლიმპიადა მე-2, მე-3 და მე-4 კლასელებისათვის, ისტორიის ოლიმპიადა მე-5 კლასიდან ზემოთ, ხოლო ინტელექტის ოლიმპიადა მე-2 დან მე-6 კლასის ჩათვლით მოსწავლეებისთვის ტარდება.

**ოლიმპიადის შესახებ დეტალური ინფორმაცია ნახეთ:** https://kings.ge/news/1058

# კინგსის ქართული ენის ოლიმპიადა 2020 / I ტური

## მე-11-12 კლასი

I სავარჯიშო: ადამიანის სახელებისა და გვარების ბრუნება, ნაცვალსახელის ჯგუფები, ნაცვალსახელის ბრუნება

შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ და გ

1. რომელ წინადადებაშია ხმოვანფუძიანი საკუთარი სახელი?
   ა) ვახტანგ ორბელიანი რომანტიკოსი პოეტია. ბ) ლევან სანიკიძე მე-20 საუკუნის მწერალია.
   გ) ვაჟა მთების მოტრფიალეა.
2. რა ახასიათებთ ადამიანის სახელებს წოდებით ბრუნვაში?
   ა) ჩვეულებრივად დაირთავენ ბრუნვის ნიშანს.
   ბ) წოდებით ბრუნვაში ფუძის სახით არიან წარმოდგენილნი.
   გ) წოდებითი ბრუნვა არ აქვთ;
3. რომელია მართებული ფორმა?
   ა) ისიდორემ ბ) ვახტანგიმ გ) გიორგს
4. რომელია არასაწორი ფორმა?
   ა) გაბისონიის ბ) ღაჭავას გ) ერგემლიძის
5. ჩამოთვლილთაგან რომელი გვარია კუმშვადი?
   ა) ჭავჭავაძე ბ) გუნია გ) მაჩაბელი
6. რომელი ჯგუფის ნაცვალსახელებია: ასეთი, ამნაირი, ამისთანა?
   ა) პირის ; ბ) ჩვენებითი ; გ) კუთვნილებითი;
7. რომელია ნაცვალსახელის მართებული ფორმა?

ოლიმპიადაზე დასარეგისტრირებლად ეწვიეთ: https://kings.ge/register

ა) მათთაგანი ბ) მათგანი გ) იმათთაგანი

8. რომელია მართებული ფორმა?

ა) თქვენს ამბავს ბ) ჩვენს გამო გ) თქვენს გარეშე

9. რომელი ჯგუფის ნაცვალსახელია *რომელიღაც* მოცემულ წინადადებაში?

„რომელიღაც მხიარულად მღეროდა.“

ა) კუთვნილებითი ბ) განუსაზღვრელობითი გ) ჩვენებითი;

10. რომელი ჯგუფის ნაცვალსახელია გვხვდება წინადადებაში?

„თქვენ დიდი გულჩახვეული კაცი ყოფილხართ!“

ა) უარყოფითი ბ) კითხვითი გ) პირის

**II სავარჯიშო: ასპექტი. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ და გ**

11. ასპექტი შეიძლება იყოს:

ა) სრული ბ) უსრული გ) ჩამოთვლითაგან ორივე

12. რომელია სრული ასპექტის ფორმა?

ა) დავწერე ბ) ვღებე გ) ვჭამ

13. რომელია სრული ასპექტის ფორმა?

ა) იშლება ბ) დაჭკნა გ) აქცევს

14. ჩამოთვლილთაგან რომელია უასპექტო ზმნა?

ა) იყიდა ბ) ჰკითხა გ) ფრინავს

15. რომელ წინადადებაშია გამოყენებული სრული ასპექტის ზმნა?

ა) მთვარე თანდათან დაბლა ეშვება. ბ) ქორი უკვე ტყეს მიეფარა.

გ) ტბას შუაგულამდე წიფლნარის ჩრდილი ეფინება.

**III სავარჯიშო: სინტაქსური ურთიერთობის სახეები: შეთანხმება, მართვა, მირთვა.**
**შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ და გ**

16. სინტაქსური ურთიერთობის რამდენი სახე გვაქვს ქართულში?

ა) სამი ბ) ორი გ) ოთხი

17. სინტაქსური ურთიერთობის რომელი სახე გვაქვს წყვილში: ათი კაცი?

ა) შეთანხმება; ბ) მართვა; გ) მირთვა;

18. რამდენი სინტაქსური წყვილია წინადადებაში?

„ხურჯინმოკიდებული გიორგი უკამნოუხედავად წავიდა.“

ა) ოთხი ბ) სამი გ) ორი

19. სინტაქსური ურთიერთობის რომელი სახე გვაქვს წყვილში: მაისის მზე?

ა) შეთანხმება ბ) მირთვა გ) მართვა

20. სინტაქსური ურთიერთობის რომელი სახე გვაქვს წყვილში: გვიან დაბრუნდა?

ა) შეთანხმება ბ) მართვა გ) მირთვა